რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№71/თ

„14“ თებერვალი, 2024 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადობას მიკუთვნებულ იმ საქმეთა იდენტიფიცირების მიზნით, რომლის გაჭიანურების მიზეზს წარმოადგენს მოპასუხე მხარისთვის სასამართლოს გზავნილის ჩაუბარებლობა და საქმეთა განხილვის ვადების უკეთ დაანგარიშების მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს ცალკეული ორგანიზაციული საკითხები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწეებს და მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნებს დაევალოთ საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში, თითოეულ სამოქალაქო საქმეზე, კომენტარის სახით მიუთითონ მოპასუხე მხარისთვის სარჩელის ჩაბარების თარიღი, სარჩელის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 დღისა;

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს მთავარ კონსულტანტებს - მოსამართლის თანაშემწეებს და მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნებს დაევალოთ, სამოქალაქო საქმეებზე მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მხარეებისთვის გაგზავნისთანავე, დაუყოვნებლივ მიაწოდონ საქმეზე მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების თარიღი რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯად სამოქალაქო საქმეებზე - სტატისტიკის მწარმოებელ სპეციალისტს - ნელი უფლისაშვილს, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს განსჯად სამოქალაქო საქმეებზე - მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სპეციალისტს - დიანა ბენაშვილს;

3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკის მწარმოებელი სპეციალისტი - ნელი უფლისაშვილი და მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სპეციალისტი - დიანა ბენაშვილი ვალდებული არიან მიღებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ ასახონ შესაბამის Exel-ის ცხრილში, საქმის მონაცემებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თარიღის მითითებით;

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სასამართლოს მენეჯერს;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებს და მოსამართლის თანაშემწეებს, მთავარი კონსულტანტებს - მოსამართლის თანაშემწეებს, სტატისტიკის მწარმოებელ სპეციალისტს - ნელი უფლისაშვილს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლეს და მაგისტრატი მოსამართლის აპარატის თანამშრომლებს.

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე